

7. საქართველოს პარლამენტის დადგენილება შეიარაღებული კონფლიქტის ზონაში მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლისა და უსაფრთხოების დასაცავად აუცილებელ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ, 1993 წლის 1 აპრილი

საქართველოს პარლამენტის დადგენილება შეიარაღებული კონფლიქტის ზონაში მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლისა და უსაფრთხოების დასაცავად აუცილებელ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ

საქართველოს ტერიტორიის ნაწილზე, აფხაზეთში, რომელსაც რუსეთის ჯარების ხელშეწყობით აკონტროლებს გუდაუთის სეპარატისტული დაჯგუფება, ტარდება ეთნიკური წმენდის პოლიტიკა, რომელმაც მიიღო ქართველი და სხვა ეროვნების მოქალაქეთა წინააღმდეგ მიმართული გენოციდის სახე. მშვიდობიანი მოსახლეობის ფიზიკური გადარჩენის მიზნით, საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს უმოკლეს ვადაში შექმნას მშვიდობიანი მოსახლეობის, მძევალთა და ტყვეთა გამოხსნის საგანგებო კომისია, რომელიც თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ტყვეთა გამოხსნის კომისიასთან ერთად დასახავს და გაატარებს ქმედით ღონისძიებებს დაკისრებული ამოცანების გადასაწყვეტად. აუცილებლობის შემთხვევაში გუდაუთის სეპარატისტული დაჯგუფების კონტროლს დაქვემდებარებული ტერიტორიიდან დასაშვებად იქნეს მიჩნეული მშვიდობიან მცხოვრებთა დროებითი გამოყვანა, მათი სიცოცხლის გადარჩენის მიზნით.

2. შექმნილი ვითარების შესწავლისა და კონკრეტულ ღონისძიებათა დასახვის მიზნით აფხაზეთში ოპერატიულად გაიგზავნოს საქართველოს პარლამენტის, ეროვნული თავდაცვისა და უშიშროების საბჭოს და მინისტრთა კაბინეტის წევრთა დელეგაცია ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარის ალექსანდრე კავსადის ხელმძღვანელობით.

3. დაუყონებლივ მიექცეს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საზოგადოებრიობის ყურადღება საქართველოს ტერიტორიის ნაწილზე უცხო ქვეყნის შემწეობით მიმდინარე ეთნიკური წმენდის ფაქტებს, მათი უშუალო გამომწვევი მიზეზის – აგრესიის აღკვეთის მიზნით.

4. საქართველოს ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭომ, მინისტრთა კაბინეტმა მიიღონ საჭირო ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ იძულებით გადაადგილებულ მოქალაქეთა თავის საცხოვრებელ კერაში დაბრუნებას და საამისოდ სათანადო პირობების შექმნას.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

1993 წლის 1 აპრილი.

(საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1993, ## 5-8, გვ. 105-106)